29
1919
№1. 2. 6. 7. 10. 12. 13. 14 16-17. 18. 19. 20. 21.
22. 24. 25. 26 27. 28. 29 31. 32. 33. 34. 36.
37. 38. 39. 42. 47. 52. = 32 ц = 16

ოთხშაბათი,
იანვრის 1.

# ყოველ-დღიური გაზეთი „კოდე“ გამოცემა

— დამოუკიდებელი —
ნაციონალ-დემოკრატიული
პარტიის მთავარი კომიტეტისა და საპარლამენტო ფრაქციისა

გამოდის **გრიგოლ ვეშაპელის** რედაქციით

გაზეთის ფასი 1918 წლის დამლევამდე 5 მანეთი, ცალკე ნომერი 50 კ. განცხადებათა ფასი მორიგებით.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 2 საათამდე.

კონტორაში, **ქართულ ქარვასლაში, სასახლის ქ. № 5**

რედაქტორის ტელეფონი № 22.

1919 წელი.

№ 1.

დამოუკიდებელი ნაციონალური
პოლიტიკის ორგანო.

ფასი 50 კაპ.

საქართველოს სახ. წიგნთსაცავი
22/III-50
№ 29.

## წერილები

**მეთაური.:** ახალი წელიწადი.— **მ. იშხნელი.** ე. გეგეჭკორის წარსულიდან.

## ცნობები.

**ეკატერინენფელდის სამხრეთით ჩვენმა ჯარმა მნიშვნელოვანი მაღლობები დაიჭირა.— ახალქალაქის საზღვარზე ხომხების თავდასხმა მოიგერიეს.— გერმანიიდან წამოსულ ქართველ ტყვეებს დენიკინი საქართველოში არ უშვებს.—**

საქართველოს რესპუბლიკის საბჭოდრო
სამინისტროს ნებართვით
## ქართული ლეგიონი
მოიწვევს მოხალისეებს
მამულის შვილნო, დღეს სამშობლოს
თქვენი თავი სჭირია!

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ბინაზე, (სასახლის ქუჩა, ქართული თეატრის ეზო, სადაც დროებით არის მოთავსებული კანცელარია). იქვე შეიძლება ყოველგვარი პირობების შეტყობა.

ლეგიონის სარდალი პოლკოვნიკი
**ლეო კერესელიძე.**

## მეომართა დამხმარე კომიტეტის მოწოდება.

საქართველოს შვილნო!

დაეხმარეთ იმათ, ვინც დაუზოგავად სწირავს სამშობლოს ჯანსა და ნორჩ სიცოცხლეს! ქვეყნის საკეთილოდ გამოიღეთ წვლილი. გადასდევით თქვენი თვიური შემოსავლის ნაწილი! ყოველ ჟამს გახსოვდეთ, რომ თქვენი მშვიდობიანი არსებობის გულისათვის სისხლს ღვრიან ჩვენი მამაცი მეომრები. შეუმსუბუქეთ მათ უწმინდესი და უმძიმესი ვალის შესრულება თქვენის თანმგრძნობით! დაამზადეთ საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტისათვის შემოწირულება ფულად და ყოველგვარი ნივთით (საპონი, წუმწუმა, პაპიროსის ქაღალდი, თამბაქო ძაფი, სხვადასხვა სასმელი, ხმელი ხილი და სხვა).

შემოწირულება მიიღება საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტში.

გოლოვინის და ჭავჭავაძის ქუჩის კუთხე № 24.

კომიტეტის თავმჯდომარე **ნ. გაბაშვილისა.**

## თფილისი, იანვარის 1.

# ახალი წელიწადი

მართალია ახალის სტილით, მაგრამ დღეს მაინც ახალი წელიწადია და ღმერთმა ბრძანოს, რომ ჩვენს სოციალისტურ ხელმძღვანელებს ახალი რამ შეეძინოთ ცხოვრებისაგან. საჭიროკია და დროც არის აევრს რაშიმე გამოიჩიჩქნონ ყური. დროა გათავდეს პოლიტიკა შემთხვევისა და წაჯე-უკუჯექობისა, საჭიროა მტკიცე კურსი ეროვნული თვითგამორკვევის. დღეს გარდამავალი და ამასთანავე გარდუვალი ხანაა: ვინც გაიმარჯვებს ფიზიკურად, რასიულად, ვინც დარჩება პოლიტიკურად მხნე და გამძლე, ტკბილ-ბოლოობიერად ის მოძველ ახალ წლებსაც იხილავს თავისუფალი და ვინც დღევანდელ დღემდე ნათამაშევ გზას გაჰყვება—ის კიდეც გადაჰყვება მას სამუდამოდ და უკვდავი იდეა ერისა ჩაკვდება კოსმოპოლიტიკურ არარაობაში,

საქართველოს ზურმუხტოვან ჰუბუტში, თფილისი ძვირფასი თვალია და თუ ჩვენთვის მას მნიშვნელობა აქვს არა მარტო ეკონომიური, არამედ ფსიქოლოგიურ-ეროვნული, სხვათათვის ის არა ნაკლებ მიმზიდველია. დღევანდელი ომი,—ომია თფილისისათვის და თუ ჩვენ ვიმარჯვებთ, რადგან მთელი საქართველო ადგა მის დასაცავად—ეს არ უნდა ადუნებდეს ჩვენს გონებას და ნებისყოფას ზერელე სიხარულით და ენტუზიაზმით. სომხურ პარაზიტიზმის გადარჩენილებს—ჩვენ მოგვიხდება ომი და ბრძოლა ეკონომიური და ფიზიკური—. ათას სხვა მსუნაგ მეზობელთან და გარეშესთან; ამას უნდა თვალ-ყურის დევნება და სამზადისი.

თუ ჩვენ გარშემო მყოფ მეზობლებში ან შორეულ-სახელმწიფოებში გვეყოლება ისეთი დიპლომატები, რომელთა თვალი და ყური დაჩლუნგებულია, თუ ჩვენს დედაქალაქში და დედა სამშობლოში თავისუფლად ითარეშებს მტრების აგენტურა, როგორც ყველაფერი ეს დღემდე იყო,—ჩვენი საქმე საბოლოოდ წასული იქნება.

რით შეიძლება აცდენა ამ უბედურებისა? მეტის პატრიოტიზმით, მეტის სიყვარულით და ნდობით თავისიანებისადმი, ვიდრე უცხოელებისადმი. ინტერნაციონალური ავადმყოფობა უნდა შეიცვალოს ეროვნული ჯანსაღობით და ბჭენი ჩვენის სამშობლოსი უნდა განმტკიცდნენ.

კონკრეტულად ჩვენ მოვითხოვთ, რომ ომის ნაკურთხმა ცეცხლმა გადასჭრას საბოლოოდ ხომხური საკითხი ჩვენში და გასწმინდოს არა მარტო გარეშე საზღვრები, არამედ შიგნეულიც ჩვენი სამშობლოსი.

საჭიროა ნამდვილად გაირეკნონ ყველა ჯურის გამოქცეულები, რადგან დეკლარატიული განცხადებანი აღარ სჭრიან ისე, როგორც ათასობით აქ მყოფი ფიზიკური არსებანი.

უნდა სასტიკად აღსრულდეს კანონი 24 ქრისტეშობისთვისა, აღმკვეცი ქონებისა მათვის, ვინც მტრის მხარეზეა და დასახლება მათს ადგილსა და ქონებაზედ იმათი, ვისაც რუსეთის იმპერია მოდამ სოფინილა და ყველა გადამთიელთა სასარგებლოდ, ე. ი. ქართველებისა.

უნდა მოისპოს ყოველი საშუალებით უცხო სახელმწიფოთა პარტიების მოქმედება ჩვენში: დაშნაკელ'ისა, რუსის სხვადასხვა პარტიებისა და სხ. უნდა სისტემატიურად გამაგრდეს თფილისი: ფიზიკური ზღუდეებით, ქართული მოსახლეობით და ჯარით. სიბავშვეა ფიქრი იმაზედ, რომ ჩვენმა ნეიტრალიტეტმა, თუნდაც იგი მიიღოს ქვეყანამ,—ჩვენ მშვიდობიანობა გვადირსოს თუ არა ჩვენისავე ძალებით. შეხედეთ ბელგიას: იყო ნეიტრალური და გადათელეს; კიდევაც იქნება ნეიტრალური და მაინც აცხადებს (და აცხადებს ეხლა, როცა მისი დამცველი ინგლისი და მის განთავისუფლებისათვის მებრძოლი, მის ტერიტორიაზე არის): მშვიდობიანობის დროს ბელგიას უნდა ჰყავდეს 100,000 ჯარის კაცი და ომიანობის დროს 350,000.

განა „ომის გათავების დროს“, როცა ინგლისმა დაამარცხა გერმანია, ბელგიას არა სჯერა ხალხთა ლიგისა, სამუდამო მშვიდობიანობისა და იარაღის-აურისა? ეტყობა არა სჯერა, თუმცა ჩვენზე განვითარებული, ჩვენზე დემოკრატიული და ჩვენზე უკეთ პირობებში მყოფია დღეს—პოლიტიკურად.

ჩვენ ვერ მოვითხოვთ 100,000 ჯარის კაცს, რადგან ჩვენი სოციალისტები ვერც გონებით და ვერც ანგარიშით ამ ციფრს ვერ შეწვდებიან, მაგრამ თუ სიცოცხლე გვინდა დამოუკიდებელი ჩვენ უნდა ვყავდეს 50,000 მაინც გაწვრთნილი, ტეხნიკურად შეიარაღებული და მკაფიო ერთეულებად დაყოფილი ჯარი, რომლის შეუდრეკელ ხიშტზე უნდა წამოეგოს ყვე-

ლა მოძალადე. უფრო ადრე, ვინემ ჩვენს ტერიტორიაზედ შემოიჭრებოდეს და ხალხს დაგვიხოცავდეს. ჯარი ეს ის ფარია, რომლის იქით შესაძლებელია მშვიდობიანი აღმშენებლობა, რასაც დღემდე ჩვენში არავითარი ადგილი არა აქვს: ჩვენ დღემდე ვცხოვრობთ ჩვენს ქვეყანაში პარაზიტულად: ვჭამთ ჩვენი შთამამავლობის სიმდიდრეს და მხოლოდ ჯარს შეუძლიან უზრუნველჰყოს ჩვენი ნაყოფიერი მუშაობა, რომ არ დავაყენოთ გაპროლეტარების გზაზედ ჩვენი შვილები და შვილიშვილები.

დაიმედებულნი, რომ სოციალისტების თავშიაც შეანათებს რეალურ ცხოვრების მზვავე მუგუზალი, ჩვენ ძმნედ ვეგებებით ახალს წელიწადს ახალი ცხოვრებისათვის.

## ე. გეგეჭკორის წარსულიდან.

ღმერთია მოწამე, ვფიცავთ უზენაეს ძალას, რომ არა გვაქვს სურვილი პირტიული ჟინიანობით ოპოზიციაში ჩაუდგეთ დღევანდელ მომენტშიც და ვაკრიტიკოთ სოციალ-დემოკრატების ლიდერები, ეს საქართველოს ბედ-იღბლის გამგენი, მაგრამ თუ ყველა მათგანზე არა, ზოგიერთზე მაინც ღღესაც უნდა ვსთქვათ მით უმეტეს, რომ სოციალ-დემოკრატიც არის და სოციალ-დემოკრატიც. ნათქვამია ერთი ხისაგან ბარიც გამოვა და ნიჩაბიც.

ბევრ სხვა შეცდომებს რომ თავი დავანებოთ, აღარც ის ორი სამი თვის სომხებთან კონფერენციის შესახებ ლაპარაკი გავიხსენოთ, საკმარისია მოვიგონოთ 1917 წლის ივლისი, როდესაც ქართველი ჯარის კაცი ბოლშევიზმით არ იყო მოწამლული და რუსეთის ფრონტებიდან სამშობლო ფრონტისკენ მოილტვოდენ, როგორ შესხდა ამას ბატ. გეგეჭკორი?

მოგეხსენებათ რუსეთის რევოლიუციას პირველ თვეებშივე ხელოვნურად შეკოწიწებული რუსეთი დაიშალა და ყველა მოსახლე ერმა იწყო ეროვნული იდეების განხორციელება. ქართველს ეს ამ მხრივ თითქოს ეძინა ან უკეთ რომ ვსთქვათ ეგი არა ჩქარობდა რაკი ასე სურდათ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის პარტიის წევრებს ქართველ სოციალ-დემოკრატებს.

ქართველი ხალხი ვითომ არა ჩქარობდა, მაგრამ ქართველი ჯარის კაცნი, გაფანტული რუსეთის სხვადასხვა ფრონტებზე, მოუთმენელად ელოდენ იმ დღეს, როდესაც მოეწყობოდენ ეროვნული პოლკები, სადაც მათ ენას ძალის ენას არ უწოდებდენ, სადაც ეგენი დარწმუნებულები იქნებოდენ, რომ სამშობლოს ინტერესებს, თავიანთ სახლ-კარს და კარ-მიდამოს დაიცავდენ ამ მიზნით ქართველ მხედართ სურდათ მოეწყოთ თფილისში რუსეთის ფრონტებზე მყოფ სრულიად საქართველოს მხედართა დელეგატთა ყრილობა, რომელზედაც პირველ საკითხად ნაციონალიურ პოლკების შექმნის საკითხი დაისმოდა. ყრილობის მოწვევის ნებართვა მაშინდელ სამხედრო მინისტრ კერენსკის უნდა მიეცა, მაგრამ სანამ კერენსკის ნახავდა ქართველ მხედართა დელეგაცია, მას წინასწარ უნდა ეთათბირნა პეტროგრადში კაკი წერეთელთან და კარლო ჩხეიძესთან. სწორედ მაშინ პეტროგრადში ბრძანდებოდა ბ-ნი გეგეჭკორი, ამიერ კავკასიის ცენტრალურ კომიტეტის თავჯდომარე, რომელმაც მარად დაუვიწყარი სიტყვებით დაადასტურა თავისი საუბარი თანამემულე დელეგატებთან: „я не разрѣшу собраться въ тифлисѣ.“-ო. ეს თავის დროზე იყო აღნიშნული ჩვენს პრესაში და თუ დღეს კვლავ გავიხსენეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ვვაკვირვებს ასეთი ადამიანი როგორ უნდა ატარებდეს საქართველოს სახელმწიფოს მთავრობის ისეთ მნიშვნელოვან პორტფელს, როგორიც არის საგარეო მინისტრის პორტფელი. თუ დღეს ბ-ნი გეგეჭკორი უჯარო ლენერალია, თუ დღეს ჩვენ აქამდე არა გვყავს გაწრთვნილი რეგულიარული ჯარი, თუ დღეს ჩვენ გვიხდება კეთება იმისი რაც გაკეთებული იქნებოდა ადრე, ამაში ბრალი უდევს უპირველეს ყოვლისა თვით ბატ. გეგეჭკორს და ასეთი კაცი საქართველოს სახელმწიფო მოღვაწე კაცად ითვლება.

ვ. იშხნელი.

# ომი სომხეთთან

### ქალაქთა და ერობათა თათბირი.

დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობამ თფილისში თანამედროვე მომენტზე მოხსენების შემდეგ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც სრულ ნდობას უცხადებს საქართველოს მთავრობას და აღუთქვამს ყოველმხრივ დახმარებას.

### სომხების აგიტაცია.

ჯარში წასვლის საწინააღმდეგო აგიტაციას ეწევიან სომხეთის აგენტები გენერალ-გუბერნატორის ცნობით, რკინის გზებზე და თფილისის გუბერნიის ზოგიერთ სოფლებში.

### ხომები ტყვეები.

ჩამოიყვანეს გუშინწინ რიცხვით 113 კაცი. მათ შორის 7 ოფიცერი.

### ქალთა საზოგადოება და ომი.

28 დეკემბერს შესდგა ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრება (წითელი ჯვრისა, ქართ. ქალთა საზ-ბისა, სახელმწ. უნივერსიტ. ქალთა ინტერპარტიული ბიუროსი, ფოსტა ტელეგრაფის ოლქისა, მასწავლებელთა ჯგუფისა და „იმედი“-ს საზ-ბისა), რომელზედაც გადაწყდა ყველა ქალთა საზ-ბის კონცენტრაცია და დაარსდა ქალთა ორგანიზაციის კავშირი მთავარი კომიტეტი, რომელიც ომიანობის დროს იმუშავებს წითელ ჯვრის დროშის ქვეშ. კრებაზე ჩარჩეულ იქნა აღნიშნულ კომიტეტის პრეზიდიუმი ექვსი ქალისაგან: თავმჯდომარეთ ნ. ნაკაშიძისა, ორი მისი ამხანაგი, ნ. ყიფიანისა და ნ. რცხილაძისა, მოლარე—კალანდარიშვილისა, ორი მდივანი—მ. ცაგურია და დ. კასრაძე. კავშირი კისრულობს ყოველ გვარი დახმარება აღმოუჩინოს წითელ ჯვარს, როგორც პირადი შრომით, ისე საღსრის ბოპოვებით, ამისათვის აღნიშნულ კავშირთან დაარსდა სამუშაოს განმანაწილებელი ბიურო. მსურველთ ვსთხოვთ ჩაეწეროონ ამ ბიუროში, ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე „ძმურ ნუგეშში“.

### სომეხთა დელეგაცია ეორდანიასთან.

ნ. ეორდანიას წარუდგა საქართველოს სომეხთა ეროვნულ საბჭოს დელეგაცია და ესაუბრა სომეხთა დაპატიმრებისა და ლტოლვილთა განყოფილების ქონების რეკვიზიციის შესახებ. ნ. ეორდანიამ დაჰპირდა, რომ ეს ზომებს მიიღებს სომეხთა ეროვნულ საბჭოს ნებართვა მოქმედების უზრუნველსაყოფად ბარ[illegible] ქონების დასაბრუნებლად და რომ ლტოლვილთა ორგანიზაციის მოქმედებაც დაბრკოლდეს.

### „გუმმეტ“-ის რაზმი.

თფილისში ფრონტზე წასასვლელად შესდგა მაჰმადიანთა სოც.-დემოკრატიულ პარტიის „გუმმეტ“-ის რაზმი, რომელიც 100 კაცისგან შესდგება.

## მთავარ შტაბის ცნობა

გუშინ 11 საათზე ჩვენმა ჯარმა დაიკავა სადა. სადახლო.

გუშინ ბეტერიანეთიდან სამხრეთით ჩვენმა ჯარმა ბრძოლით დაიჭირა ორი მნიშვნელოვანი მაღლობი. ბრძოლა გრძელდება.

დღეს გაუნეიისს მოწინააღმდეგეს მეორე რაზმი მეეცადა გადაბგზავრებულიყო ალაქაქის მაზრის სოფლებზე, მაგრამ გაეფანტეთ. დასავლეთ ფრონტზე სიწყნარეა.

## სომხეთის ომი ნოემბერში ბარდაშუალეტია.

დაგეტ—ხაჩინის აღების დროს ჩვენ ჯარს ხელში ჩაუვარდა შემდეგი დოკუმენტი: „კომანდიტი სომხეთის მეხუთე ქვეითა პოლკისა 1918 წლის 1 ნოემბრის თარიღით № 782 სოფ. ფერეგენიდან სწერს ბრიგადა[illegible] ტეოპეტროსიანცს:

ბრძანეთ ამის მიღებისთანავე გაემგზავროთ სოფ. ვართაშენიტში, სადაც გამოიწვევთ ოქვენთან კოლისარი ლასმასთანავე დარჩენილ ბრძანების გამოცხადებასთან ერთად შეუდექით მოლაშქრე (ოპოლჩენიის) ოტრების მოწყობას 20—32 წლიანის და ხვალვე წარმომიდგინეთ სია მოწვეულებისა.

ნაცადინეობას შეუდექით ხვალვე. იმეცადინეთ დღეში 2 საათი. ნახ. საათი გიმნასტიკით, ნახ. საათი სიტყვიერებით, 1 საათი სოროლისა და საველე წესდებით.

მოწვეულები გაყავით 4 „ზვოდიან“ და დანიშნეთ „ვზვოდნებათ“ უნტერ ოფიცრები ან ეფრეიტერები პეროიოდულათ, კვირაში ორ ჯერ,—ოთხშაბათობით და შაბათობით ჩემთან გამოცხადდით მოხსენებით, თუ როგორ მიდის მეცადინეობა. არ გეკრძალებათ მეცადინეობა თოფებითაც. ადგილობრივ თქვენ ინიშნებით კომენდანტათ.

პოლკოვნიკი ტერ-ნიკოგოსოვი, პოლკის ადიუტანტი პოდპორუჩიკი ყარაბასანცი.

# საქართველოს ამბები.

### საახალწლო განცხადება

თფილისისა, აგრეთვე თფილისისა და თელავის მაზრების გენერალ გუბერნატორი: ვაცხადებ თფილისის მცხოვრებთა საყურადღებოდ, რომ ახალწლის წინ ღამეს ნება დართულია მოძრაობა ღამის 2 საათამდე, რომლის შემდეგ ვისაც ქუჩაში შეამჩნევენ, დააპატიმრებენ და დაისჯებიან, როგორც სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი.